**ნიკა ხოფერია**
*საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)*

# ზღვა, მდინარე და წყლის რესურსების მნიშვნელობა ლაზიკის ომში (541-562 წწ.)

**აბსტრაქტი**

ლაზიკის ომი (541-562 წწ.) ბიზანტიის იმპერიასა და სასანურ ირანს შორის, ლაზიკის სამეფოს ტერიტორიაზე, გვიანანტიკურ სამხედრო საქმეში მდინარეების, ზღვის სანაპიროს კონტროლისა და სასმელი წყლის რესურსების განსაკუთრებული მნიშვნელობის კარგი მაგალითია. დასავლეთ საქართველოს მდინარეებით დაქსელილი ტერიტორია, უზრუნველყოფდა სასმელ წყალს აქ მოქმედი ჯარებისთვის, თანმხლები ცხენებისა და საქონლისთვის. ეს პრობლემა, ხანგრძლივი ალყების დროსაც კი არ იჩენდა თავს. ამავე დროს, მდინარეებისა და ზღვის სანაპიროს კონტროლი, განსაზღვრავდა მხარეთა სამხედრო სტრატეგიასაც. პროკოპი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი და სხვა თანადროული ავტორები, მიუთითებენ ფასისისა და მისი შესართავების სატრანსპორტო, ლოგისტიკური თვალსაზრისით გამოყენებაზე. ციხესიმაგრეები, ძირითადად, საკვანძო მდინარეთა ხეობებში შენდებოდა. ბიზანტიური და სასანური ჯარები მიმართავდნენ სხვადასხვა საშუალებას მდინარეების გადასაკვეთად თუ კონტროლისთვის, უღობავდნენ გზას მტრის ტრანსპორტს სპილოებისა და კავალერიის საშუალებითაც კი, აგებდნენ საპონტონე ხიდებს ან ხელოვნურად უცვლიდნენ მდინარის კალაპოტს სტრატეგიული მიზნებისთვის. შავი ზღვის სანაპირო ასევე მნიშვნელოვანი იყო. სასანიანებმა ომის პირველ ეტაპზე, წარუმატებლად სცადეს აქ ფლოტის აგება. ბიზანტიელებმა კი კონტროლი და საზღვაო კომუნიკაციების სრულად გამოყენების შესაძლებლობა პეტრას აღების შემდეგ დაიბრუნეს. ეს მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებდა მათ, ვინაიდან, ზღვიდან, თავისუფლად შეეძლოთ ჯარისა და რესურსების გადასროლა ლაზიკაში, რისი შესაძლებლობაც, სასანიანებს არ გააჩნდათ. ეს ფაქტორი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი აღმოჩნდა ლაზიკაზე ბიზანტიური გავლენის შესანარჩუნებლად.

ლაზიკის ომი, წარმოდგენას გვაძლევს, როგორ ზეგავლენას ახდენს გეოგრაფიული ფაქტორი, გარემო პირობები, ამ შემთხვევაში, ზღვა, მდინარე და სასმელი წყლის რესურსები გვიანანტიკური კონფლიქტის მიმდინარეობაზე. სასმელი წყალი სასიცოცხლო იყო ჯარის, ცხენებისა და სასაპალნე საქონლისთვის; მდინარეები და ზღვის სანაპირო განსაზღვრავდა ციხესიმაგრეთა სტრატეგიულ მდებარეობას, ლოგისტიკურ შესაძლებლობებს, სისუსტესა და უპირატესობებს. ბიზანტიელთაგან შავი ზღვის კონტროლი, სამდინარო ქსელის ეფექტიანი გამოყენება, ლაზებთან კავშირთან ერთად, სასანიანებისთვის მარცხის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად იქცა.

**საკვანძო სიტყვები:** *ლაზიკა, ბიზანტია, სასანიანები, საქართველო*

წყლის რესურსები, სამხედრო თვალსაზრისით, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობისაა. წყალი არის განსაკუთრებულად საჭირო რესურსი არმიებისთვის. ამიტომ, მხარეთა საბრძოლო სტრატეგიაში, წყლის რესურსების კონტროლი, ლაშქრის წყლის რესურსებით მდიდარ მხარეებში ან ასეთი მხარეების მახლობლად მოძრაობას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ნებისმიერი ომის ლანდშაფტის, სივრცისა და რესურსების შესწავლისას, საჭიროა დავადგინოთ საკმარისი სასმელი წყალი იყო თუ არა აქ მოქმედი არმიებისთვის, ცხენებისთვის, სასაპალნე საქონლისთვის და როგორ შეიძლებოდა სამდინარო თუ საზღვაო გზების გამოყენება სამხედრო მიზნებისთვის. ასევე, თუ ახდებდ ზეგავლენას მებრძოლ მხარეთა სტრატეგიაზე. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვეხებით ლაზიკის ომს, რომელიც 541-562 წლებში მიმდინარეობდა ბიზანტიის იმპერიასა და სასანიანთა ირანს შორის, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ლაზიკის სამეფოში.

დასავლეთ საქართველო, მდინარეებით ფართოდაა დაქსელილი და როგორც ეს თანადროულ წყაროებშიც ჩანს, სხვადასხვა კონფლიქტების დროს, წყლის ნაკლებობა იშვიათად აწუხებდათ აქ მოქმედ არმიებს, თვით ალყაში მოქცეულ გარნიზონებსაც კი. ამავე დროს, კოლხეთის დაბლობის ჭარბწყლიანობა, სუბტროპიკული კლიმატის თავისებურებებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების, საკვები რაციონის, განსახლების ტიპის განმსაზღვრელია.[1] პროკოპი, ლაზიკის გეოგრაფიის აღწერისას, პირველ რიგში მდინარეებს განიხილავს და შემდეგ ხსნის, როგორ იყო ამ ქვეყნის ციხე-ქალაქები და სხვა სტრატეგიული პუნქტები განაწილებული მათ ირგვლივ: „მდინარე ბოასი როცა მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ, რადგან მას ბევრი სხვა წყალიც ემატება, ის იზრდება ძალიან და, ნაცვლად ბოასისა ამიერიდან ფასისად წოდებული, განაგრძობს მდინარეობას, ნაოსნობისათვის გამოსადეგი ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი შესართავია, და მის ორივე მხრით ლაზიკე არის. მაგრამ მარჯვნივ მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე ვიდრე იბერიის საზღვრებამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით. ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველითგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი – იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი. მდინარის მარცხნივ, ისეთ მანძილზე, რომელსაც ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი, ლაზიკის საზღვრებია...”.[2]

ლაზიკის მდინარეები არ იყო განსაკუთრებულად რთულად გადასალახი და ჯარს შეეძლო მათზე ფონის მონახვა და გადასვლა, თუმცა, ადგილმდებარეობის

---

[1] ამასთან დაკავშირებით, ვრცლად იხილეთ დევიდ ბრაუნდი, *საქართველო ანტიკურ ხანაში* (ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014).

[2] Procopius, *De bellis II,* 29. *გეორგიკა II,* ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1965), 100-101. Prokopios, *Wars of Justinian*, Translated by H.B Dewing, Revised and Modernized, with an Introduction and Notes, by Anthony Kaldellis (Hackett Publishing Co., Inc., 2014), 138.

კარგად მცოდნე გამყოლების დახმარებით.[3] მავრიკიოსის „სტრატეგიკონის“ მიხედვით: „მდინარის გადალახვისას ან უცნობ ქვეყანაში სხვა რთული ადგილის გავლისას, მოწინავე რაზმები წინ უნდა წავიდნენ და მას შემდეგ, რაც დაზვერავენ გარემოს, უნდა შეატყობინონ მხედართმთავარს თუ როგორი ქვეყანაა და კომპეტენტურმა ოფიცრებმა უნდა შეადგინონ დისპოზიცია, თუ როგორ გაიარონ ეს ადგილი“.[4] როდესაც ხოსრო ანუშირვანის ჯარი პირველად შეიჭრა ლაზიკაში ლაზი მეგზურების დახმარებით, ლაზებმა მოიმიზეზეს რომ ფასისის გადალახვა რთული იყო და ჯარს დიდ დროს წაართმევდა, რაც, როგორც პროკოპი აღნიშნავს, ლაზების მოგონილი მიზეზი იყო, რათა ირანელები თავიანთი ძირითადი საბინადროებისკენ არ წაეყვანათ[5], ვინაიდან იცოდნენ, რას გამოიწვევდა დიდი ლაშქრის მოძრაობა მათ ქვეყანაში.[6] ერთ ეპიზოდში პროკოპი წერს: „(მეფე გუბაზმა) კარგად იცოდა, რომ... ისინი ვერას გზით ვერ გადალახავდნენ ფასისს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათ ნავები არ ჰქონდათ. ამ მდინარეს ხომ სიღრმე აქვს სხვებზე არა ნაკლები, სიგანითაც დიდ მანძილზეა გადაჭიმული. სისწრაფეც მას ისეთი აქვს, რომ ზღვაში ჩასული ის კარგა მანძილზე ცალკე მიმდინარეობს, ისე, რომ მას არ უერთდება, ამიტომ იქ მენაოსნეთათვის მოსახერხებელია შუა ზღვაში მიიღონ სასმელი წყალი. და მდინარის აქეთ ყველგან სიმაგრეებიც გაუკეთებიათ ლაზებს, რათა ნავებით მომავალი მტრისათვის ხმელეთზე გადმოსვლა არ ყოფილიყო შესაძლებელი”.[7] მაგრამ სხვა ეპიზოდებში აშკარად ჩანს, რომ ლაზიკის მდინარეების გადალახვა შესაძლებელი იყო: „მერმეროემ სადაც ფასისის გადასვლა შეიძლება ფონში, გადალახა ეს მდინარე ფეხით, გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც, სახელად რეონი... (მისი ჯარიდან) ზოგიერთების გამოკლებით ყველანი ცხენოსნები იყვნენ და მათ რვა სპილო მიჰყვებოდა თან”.[8] ამ ეპიზოდის მიხედვით, ისიც ირკვევა, რომ მდინარეების გადალახვა არა მხოლოდ ქვეითებისთვის იყო ადვილი, არამედ, ცხენოსანი ჯარისა და საბრძოლო სპილოებისთვისაც კი. შესაბამისად, მდინარეები, საომარ სეზონებზე, არ იყო რთული გასავლელი. აგათიას მიხედვით, ირანელმა სარდალმა, ნახორაგანმა, საპონტონე ხიდით გადალახა მდინარე - „მაშინვე გვიან ღამით ჩაუშვა მდინარეში ნავები, რომლებიც თან მოჰქონდა ურმებით, ერთმანეთს გადააბა და უცბად, ისე რომ რომაელებმა ვერაფერი გაიგეს, რაღაც ხიდის მაგვარი გასდო და გადაღმა გადაიყვანა მთელი ჯარი”.[9] ეს ირანელთა სამხედრო-საინჟინრო ცოდნაზეც

---

[3] ჟან შარდენის მიხედვით: „ყველა მათგანს (კოლხეთის მდინარეებს) აქვს ფონი და ხალხიც მხოლოდ ამ ფონით გადის მდინარეებზე, ამიტომაც აქ არც ერთი ხიდი არ მინახავს“. იქვე შარდენი მოგვითხრობს თუ როგორ გადადიან მდინარეზე ქვეითი მეგრელები ხელიხელჩაჭიდულები. *საქართველო უცხოელთა თვალით, XV-XVII საუკუნეები,* გამოსაცემად მოამზადა ალექსანდრე მიქაბერიძემ (თბილისი: არტანუჯი, 2018), 109.

[4] George T. Dennis, *Maurice's Strategikon: Handbook of Byzantine Military Strategy* (Philadelphia: Univ. of Pennsylvania Press, 2010), 21.

[5] მდინარე ფასისის მეორე მხარეს (საითაც წაიყვანეს ირანელები ლაზებმა) ლაზებს პეტრას გარდა სხვა არც ერთი დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ. Procopius, *Wars* VIII, 13-14. Prokopios, *Wars of Justinian*, 490-492.

[6] Procopius, *De Bellis II,* 29. *გეორგიკა II*, 102-103. Prokopios, *Wars of Justinian*, 139.

[7] Procopius, *De Bellis II*, 30. *გეორგიკა II*, 113. Prokopios, *Wars of Justinian*, 142.

[8] Procopius, *De Bellis VIII*, 13-14. *გეორგიკა II*, 182. Prokopios, *Wars of Justinian*, 490-492.

[9] *Agathias II,* 22; III, 20. Agathias, *The Histories*, Translated with an Introduction and Short Explanatory Notes by Joseph D. Frendo (Berlin; Boston: De Gruyter, 1975), 56, 90. *გეორგიკა III*,

მეტყველებს და იმაზეც, რომ ლაზიკის მდინარეებზე ამგვარი ხიდის გაკეთება შესაძლებელი იყო.

ზოგჯერ მებრძოლი მხარეები ხელოვნურადაც უცვლიდნენ მდინარეებს კალაპოტს თავისდა საჭიროებისთვის, მაგალითად, ბიზანტიელებმა თხრილის მეშვეობით, ფასისის (რიონის) ნაკადი დოკონოსში (ტეხურში) გადაუშვეს და შექმნეს ხელოვნური კუნძული, სადაც ბიზანტიური სამხედრო რაზმები შეიკრიბნენ.[10] ამით ბიზანტიელებმა დამატებითი წინაღობა შეუქმნეს ირანელებს და საიმედო, დაცული პოზიცია დაიკავეს.

ჰეროდოტე, სტრაბონი და არიანე აღნიშნავენ, რომ კოლხეთი მდიდარია გემთშენებლობისათვის საჭირო მასალით: ხე-ტყით, ცვილით, სელითა და სხვ. ქსენოფონტესთან, სტრაბონთან, არიანესთან გვხვდება ცნობები ჭოროხისა და რიონის სანაოსნოდ გამოყენების შესახებ. იგივე ავტორები და აგრეთვე ტაციტუსი, ქართველთა წყლის ტრანსპორტსა და მათ სანავიგაციო თვისებებს დაწვრილებით აღწერენ. ჰიპოკრატე კოლხეთის ტრანსპორტის უმთავრეს საშუალებად ნავს თვლის.[11] იგივე დასკვნა გამოაქვს დევიდ ბრაუნდს: კოლხეთი აწარმოებდა ყველაფერს, რასაც გემთმშენებლობა მოითხოვდა. გარდა ხის მასალისა, ეს იყო სააფრე სელის ქსოვილი, საბაგირე კანაფი, საგოზავი ცვილი და ფისი. ამიტომაც იყო, რომ როდესაც არიანეს ფლოტილია დაზარალდა ქარიშხლის შედეგად, რითაც შავი ზღვა ყოველთვის იყო ცნობილი, ამით არიანე დიდად არ შეწუხებულა. რადგან ყველაფერი რაც გემთშენებისთვის იყო საჭირო, კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ განაპირა მხარეში ეგულებოდა. ხელმისაწვდომი გემთსაშენი მასალების სრული ერთობლიობა კოლხეთს საგანგებო განსაკუთრებულობას ანიჭებდა ანტიკურ სამყაროში.[12]

ლაზიკის მდინარეებიდან, ხობს, ტეხურას, ფიჩორს, სუფსას და განსაკუთრებით, რიონ-ყვირილას სატრანსპორტო-გადასაადგილებელ გზებად იყენებდნენ.[13] შესაბამისად, მდინარეებს დამატებითი სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. სამდინარო გზებით შეიძლებოდა როგორც ჯარის სწრაფად გადასხმა სხვადასხვა ადგილებზე, სადაც სანაოსნოდ გამოსადეგი მდინარე გადიოდა, ასევე, რესურსების, სურსათ-სანოვაგის გადატანაც. ყველაზე მსხვილი

---

ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა (თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936), 98.

[10] *Agathias II*, 21. *The Histories*, 55. *გეორგიკა III*, 38.

[11] ზურაბ კუტალეიშვილი, *ნაოსნობა საქართველოში,* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987), 15.

[12] დევიდ ბრაუნდი, *საქართველო ანტიკურ ხანაში* (ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014), 78. სტრაბონი წერს, რომ „მოიპოვება ნავთსაშენი ყოველივე მასალა, რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება, ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს“. სიმონ ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა და სტამბა, 1957), 123-124. არიანე: „ხომალდის აღსადგენად მხოლოდ ფიცრებიღა იქნება საჭირო, რაც, როგორც იცი, ჭარბად მოიპოვება პონტოს ნაპირებზე. ფლავიუს არიანე, *მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო*, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძისა, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წ. 2 (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა და სტამბა, 1961), 34.

[13] გელა გამყრელიძე, *ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები* (თბილისი: არტანუჯი, 2005), 27.

სანაოსნო მდინარე იყო ფასისი – რიონი[14]: „ამ მდინარეს ხომ სიღრმე აქვს სხვებზე არა ნაკლები, სიგანითაც დიდ მანძილზეა გადაჭიმული" სისწრაფეც მას ისეთი აქვს, რომ ზღვაში ჩასული ის კარგა მანძილზე ცალკე მიმდინარეობს, ისე, რომ მას არ უერთდება, ამიტომ იქ მენაოსნეთათვის მოსახერხებელია შუა ზღვაში მიიღონ სასმელი წყალი"[15] – წერს პროკოპი კესარიელი. მდინარე რიონში საკმაოდ დიდ ხომალდებს შეეძლოთ მოძრაობა, როგორც სავაჭროს, ისე სატვირთოსა და სამხედროს: „(ბიზანტიელებმა) ჯარით აავსეს ტრიერები და რაც კი ოცდაათნიჩბიანი ნავები იდგა მზად, და სასწრაფოდ გაჰყვნენ წყლის მდინარებას".[16] „(ბიზანტიელებმა) დიდი სატვირთო ხომალდები ზღვის ნაპირას და ფასისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის მახლობლად; ამ ხომალდებს ზემოთ ნავები ჰქონდათ, თვით ანძების თოკებით მაგრად ჩამოკიდებული, რომლებიც ციხის კოშკებზე უფრო დიდი იყვნენ და უფრო მაღლაც. ზედ კი მეომრები იდგნენ და ყველაზე გაბედული და მამაცად მებრძოლი მეზღვაურები, მშვილდისრებითა და შურდულებით შეიარაღებულნი და სათანადო შორსმტყორცნელი მანქანებითაც მომარაგებულნი".[17] „(ბიზანტიელმა სარდლებმა) განკარგულება მისცეს რაზმის უფროსს დაბრაგეზას, ეროვნებით ანტს, და ერთ ჰუნნს ელმინგირეს, მწყობრის უფროსს, ათი ორსაჭიანი ნავი აევსოთ ჯარით, რომელიც მათ ხელქვეით იყო".[18] „რომაელთა ორი ოცდაათნიჩბიანი ნავი, ცარიელი, ირანელებმა იგდეს ხელთ; ეს ოცდაათნიჩბიანი ნავები მიდიელი ჰოპლიტებით იყო სავსე და მდინარეში იდგა ღუზაჩაშვებული და წვრილი თოკებით ნაპირას მიბმული".[19] „(იოანე ლიბიელი) როდესაც ის კოლხეთში მივიდა, იგივე მოიმოქმედა; მას რაღაცნაირად შეეძინა სატვირთო ხომალდები და ადგილობრივ ნაყოფებს იძენდა...".[20]

დასკვნისთვის, აღვნიშნავთ რომ ლაზიკის ომის ძირითადი მოვლენებიდან და მიმდინარეობიდან, კარგად ჩანს რა დიდი მნიშვნელობის იყო მდინარეები და წყლის რესურსები მებრძოლი მხარეებისთვის. სამხედრო მოქმედებები, თითქმის ყოველთვის, მიმდინარეობს მდინარის ხეობებში, ცხენისწყლისა და რიონის პირეთში. გარდა იმისა, რომ მდინარე არწყულებდა ჯარს, ცხენებსა და საქონელს, შეიძლებოდა მისი გამოყენება ტრანსპორტირებისთვის, რესურსების გადასატანად. ვხვდებით მცირე მასშტაბის სამდინარო ხომალდებს შორის ბრძოლებსაც კი. შესაბამისად, მდინარეები წარმოადგენდა სტრატეგიული მნიშვნელობის ღერძს. განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ზღვის კონტროლსაც. სასანიანებმა, ომის პირველ ეტაპზე, სცადეს ზღვისპირეთში ფეხის მოკიდება და ფლოტის აგება, რაც წარუმატებლად დასრულდა, პეტრას ბიზანტიელთაგან აღების შემდეგ კი, ფაქტობრივად, ხელი აიღეს ზღვაზე გასვლაზე. ბიზანტიელები სრულად აკონტროლებდნენ სანაპირო ზოლს და

---

[14] დასავლეთ საქართველოს მდინარეთაგან უმნიშვნელოვანესია რიონი, რომელიც იერთებს დასავლეთ საქართველოს მდინარეთა უმრავლესობას და იგი ფაქტიურად ერთადერთია დიდი ზომის ხომალდთა მიმოსვლისათვის ბოლო ხანებამდე რომ გამოიყენებოდა. კუტალეიშვილი, *ნაოსნობა საქართველოში*, 7.

[15] Procopius, *De Bellis II*, 30. გეორგიკა II, 113. Prokopios,*Wars of Justinian*, 141-142.

[16] *Agathias III*, 20. *გეორგიკა III*, 99. Agathias, *The Histories*, 90-91.

[17] *Agathias III,* 21. *გეორგიკა III*, 102. Agathias, *The Histories*, 91.

[18] *Agathias III,* 21. *გეორგიკა III*, 103. Agathias, *The Histories*, 91-92.

[19] *Agathias III,* 21. გეორგიკა III, 103. Agathias, *The Histories*, 91-92.

[20] *Agathias IV,* 22. გეორგიკა III, 178. Agathias, *The Histories*, 124.

ბუნებრივია, გამოიყენებდნენ სამხედრო მიზნებისთვის. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია, ბიზანტიელი სარდლის ბესას მიერ პეტრას აღების შემდეგ, აბაზგების აჯანყების ჩასახშობად, ჰერული სარდლის ულიგაგესა და იოანე თომას ძის იქ ხომალდებით გაგზავნა. როგორც ჩანს, საჭიროების შემთხვევაში, ბიზანტიელებს შეეძლოთ, გამოეყენებინათ მცირე ხომალდები საკუთარი ძალების გადასაყვანად ან რესურსების შემოსატანად შავი ზღვისპირეთის ბიზანტიური პორტებიდან. ისტორიულ წყაროებში, არ ჩანს რომ რომელიმე მხარეს სასმელი წყლის დეფიციტი ჰქონოდეს, რაც, არცაა გასაკვირი, დასავლეთ საქართველოს წყალუხვობიდან გამომდინარე. სიმაგრეების ალყის დროსაც კი, წყაროების და მიწისქვეშა წყლების სიმრავლის გამო, მოალყეთაგან ციხისთვის წყლის დაწყვეტა, დიდ სირთულეს წარმოადგენდა და აბსოლუტურად წარუმატებლად დამთავრდა პეტრას ალყისას. წყალთან შედარებით, იგივეს ვერ ვიტყვით საკვებზე, რადგან, ადგილობრივ პირობებში, საკვების მოპოვება დიდ სირთულეს წარმოადგენდა. განსაკუთრებით, სასანიანებისთვის, რომელთაც იბერიიდან, უღელტეხილების გავლით უნდა გადმოეზიდათ საკმარისი რესურსები. დაბოლოს, ლაზებთან მოკავშირეობა, შავი ზღვის სანაპიროსა და სამდინარო ქსელის გამოყენების შესაძლებლობა და მუდმივი და უწყვეტი მომარაგების ხაზების შენარჩუნება, გადამწყვეტი გამოდგა ლაზიკაში ირანელთა დასამარცხებლად.

**ბიბლიოგრაფია - Bibliography**


1. არიანე. *მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო*. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძისა. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, ნ. 2. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა და სტამბა, 1961.
2. ბრაუნდი, დევიდ. *საქართველო ანტიკურ ხანაში*. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014.
3. *გეორგიკა II.* ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი: მეცნიერება, 1965.
4. *გეორგიკა III*. ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936.
5. გამყრელიძე გელა. *ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები*. თბილისი: არტანუჯი, 2005.
6. კუტალეიშვილი ზურაბ. *ნაოსნობა საქართველოში.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987.
7. *საქართველო უცხოელთა თვალით, XV-XVII საუკუნეები.* გამოსაცემად მოამზადა ალექსანდრე მიქაბერიძემ. თბილისი: არტანუჯი, 2018.
8. ყაუხჩიშვილი ,სიმონ. *სტრაბონის გეოგრაფია*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა და სტამბა, 1957.

9. Prokopios. *Wars of Justinian*. Translated by H.B Dewing, Revised and Modernized, with an Introduction and Notes, by Anthony Kaldellis. Hackett Publishing Co., Inc., 2014.
10. Dennis, George T. *Maurice's Strategikon: Handbook of Byzantine Military Strategy.* Philadelphia: Univ. of Pennsylvania Press, 2010.
11. Agathias. *The Histories*. Translated with an Introduction and Short Explanatory Notes by Joseph D. Frendo. Berlin; Boston: De Gruyter, 1975.